პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 16

ქვეპროგრამის დასახელება:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პერონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2024 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	**30 900**
სხვა წყარო	0
სულ ქვეპროგრამა	**30 900**

ქვეპროგრამის მიზანი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (18 წლის და ზევით) დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის აღწერა:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, უმეტესად ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად ცხოვრებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვას, რაც გამოწვეულია ქვეყანაში არსებული ფიზიკური და სხვა ბარიერებით, მხარდამჭერი სერვისების ნაკლებობით და სხვა, რის გამოც მათ ესაჭიროებათ საზოგადოებრივ და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო სფეროებში მხარდაჭერა, კერძოდ, სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში გაყოლა, კომუნიკაციაში და ყოველდღიურ ქმედებებში (ჰიგიენა, დაბანა, ჩაცმა, კვება, გადაადგილება, ჯანმრთელობის კონტროლი, სხეულის თვითმოვლაში მხარდაჭერა და სხვა) მხარდაჭერა, რისთვისაც სჭირდებათ დამხმარე სპეციალისტების მომსახურება. ამიტომ ქვეპროგრამა ითვალისწინებს <u>18 წლის და მეტი ასაკის</u> შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის მიზნით პერსონალური ასისტენტის დაფინანსებას. კერძოდ:

1. პერსონალური ასისტენტის სერვისი - შშმ პირებს (ეტლით მოსარგებლე, უსინათლო) გაუწევს სათანადო მხარდაჭერას დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის გაზრდაში, სამუშაო ადგილზე, განათლების მიღების პროცესში, საჯარო სერვისებით სარგებლობისას, ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას.

გაეროს 2006 წლის შშმ პირთა უფლებების კონვენციის მე-19 მუხლის (დამოუკიდებელ ცხოვრებაში სრულყოფილი ჩართვა) და შშმ პირთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილის და 37-ე მუხლის მე-5 ,,ბ" ქვეპუნქტიტ არებული ვალდებულების განხორციელების ხელშეწყიბის მიზნით ქვეპროგრამა ითვალისწინებს პერსონალური ასისტენტის მომსახურებით 18 წლის და მეტი ასაკის შეზრუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე იმ პირების (5 პირი) უზრუნველყოფას, რომლებიც ცდილობენ დამოუკიდებელი ცხოვრების წესით ცხოვრებას და მონაწილეობენ სხვადა სხვა ყოველდრიურ (საგანმანათლებლო,სპორტული. კულტურული და სხვა) აქტივობებში, მუშაობენ და/ან არიან მარტოხელა შშმ პირები და საჭიროებენ მხარდაჭერას ცხოვრებისეულ, ყოველდღიერ აქტოვობებსი (ჰიგიენა, ჩაცმა, კვება, გადაადგილება და სხვა)

1.1. **პერსონალური ასისტენტის მომსახურების ხარჯი მოიცავს: ა) 6 პირის გადამზადებას, რომლებიც გაივლიან როგორც რეგულარული ასევე სპეციალიზირებული ასისტირების ტრენინგის კურსებს. (ჯანდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული პერსონალური ასისტენტის მოსამზადებელი/სატრენინგო თეორიული და პრაქტიკული კურსით); ბ) პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდების სტანდარტის შესაბამისად 3 თვის განმავლობაში (ოქტომბერი,ნოემბერი, დეკემბერი) ყოველთვიურად 5 შშმ პირისთვის (2 პირი სპეციალიზებულში, ხოლო 3 პირი რეგულარულ ასისტირებაში) სერვისის უწყვეტად მიწოდების მიზნით საჭირო თანხებს.**

1.პერსონალური ასისტენტის მომსახურების მიღების მსურველისთვის საჭირო დოკუმენტაცია და პირობები: განცხადება, პირადობის მოწმობის ქსეროასლი, შშმ პირის სტატუსის ცნობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვალის N ბრძანება №01-13/ნ-ით განსაზღვრული სხვა აუცილებელი დოკუმენტები.

2.ასისტენტის პოზიციაზე დასაქმების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: პირადობის მოწმობის ქსეროასლი, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის და ნასამართლეობის შესახებ, პერსონალური ასისტენტის მომზადების/გადამზადების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი/დიპლომი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის N ბრძანება №01-13/ნ- ით განსაზღვრული სხვა აუცილებელი დოკუმენტები.

პროგრამის განსახორციელებლად ანგარიშსწორება მოხდება (3 თვის განმავლობაში ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) ყოველი თვის ბოლოს მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი(ლარი)	
პერსონალური ასისტირებისთვის სპეციალისტების გადამზადება თეორიული და პრაქტიკული სატრენინგო კურსით (სერტიფიცირება)	პირი	6		15150
პერსონალური ასისტენტების მიერ ასისტირების (რეგულარული) სერვისის მიწოდება 3* 60 სთ.	საათი	540	12	6480
პერსონალური ასისტენტების მიერ ასისტირების (სპეციალიზებული) სერვისის მიწოდება 2*120 სთ	საათი	720	13	9360
სულ ქვეპროგრამა				30 900

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პერონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა	x	x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2024 წელი)

გაუმჯობესებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხი.

დამატებითი ინფორმაცია

მუნიციპალიტეტში 2024 წლის 1 იანვრამდე.

ქვეპროგრამაში ჩასართავად საჭიროა ბენეფიციარებმა წარმოადგინონ:

1. განცხადება,
2.პირადობის მოწმობის ასლი;
3.შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება რომ პირს ესაჭიროება რომელიმე . კონკრეტული სახის (რეგულარული ან სპეციალიზებული) პერსონალური ასისტირების სერვისი
4.2024 წლის 1 იანვრამდე იუსტიციის სამინისტროდან გაცემული მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტუტრებელი დოკუმენტი.

ქვეპროგრამის პერსონალური ასისტენტის კომპონენტი განხორციელდება ამავე ქვეპროგრამის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვალის N ბრძანება №01-13/ნ-ით განსაზღვრული პირობებით.

შესყიდვა განხორციელდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. მიმწოდებლის დაფინანსება განხორციელდება მის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, ხელშეკრულების პირობებით ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მოცულობით.

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პერონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა	X	X	X	X

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

გაუმჯობესებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხი

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;	გენდერული	დიახ

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
გაუმჯობესებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხი და სოციალური მდგომარეობა	ნდიკატორის დასახელება	2023 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
	ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	0	5	რაოდენობა	10%	ხელვაჩაური მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი	ცნობიერების დაბალი დონე